<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:485990 Y:4624522
X:486154 Y:4624467
მალხაზ ჯღარკავას I შეს.
X:486101 Y:4624442
X:486112 Y:4624443
N
1:1,000

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011705226512722

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 85479 **24 / მაისი / 2022 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს
მის: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 18 მაისის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M22006536 განცხადებით მომართა მოქალაქე გიული მემარნიშვილმა (პ/ნ: 01030031712) რომლითაც მოითხოვა შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი , სოფელი გლდანი (საკადასტრო კოდებით N 72.13.42.043).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთების (საკადასტრო კოდებით N 72.13.42.043) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 202 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის მენეჯერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

შოთა გელოვანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032215987**
თარიღი: **08/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას 2022 წლის 24 მაისის საქმე #04-032214414-03 დაკავშირებით, რომლითაც გიული მემარნიშვილი N M22006536 განცხადების საფუძველზე ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას (ს.კ.72.13.42.043).
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.
მოგმართავთ თხოვნით, ზემოთ მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221853857**
თარიღი: **04/07/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 08.06.2022 წლის #03-032215987 (08.06.2022წ. #14-01221592721-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

აგრეთვე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ გამოგზავნილ სიტუაციურ ნახაზზე საკადასტრო კოდი (33.07.31.285) შეცდომითაა მითითებული.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი